ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის მაისის 31.	№ 10 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 125. სამეურნეო წლის დასაწყისის ოქტომბრის 1-დან იანვრის 1-სთვის გადატანასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

126. „შრომის არტელების რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 12-ის დადგენილებიდან მე-6 მუხლის ამოშლის შესახებ.

127. სომხეთის სსრ-სა და ნახიჩევანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებისა და დაკმეყფილი რაიონების აღდგენისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

128. ა/კსფსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანური ბიუჯეტების მოწყობის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

129. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სომხეთის სსრ-სა და ნახიჩევანის ავტონომიურ სარ-ში მიწიძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენის ხელისშემწყობი კომიტეტის ძირითადი ფუნქციების შესახებ.

130. საადგილმამულო დარგში მომუშავეთა და მეგზამათა კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

131. ამიერკავკასიის საბჭოთა VI ყრილობის დადგენილებათა განხორციელების შემოწმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

132. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების გაუქმების შესახებ.
133. იურიდიულ პირთა წესდებების გამოქვეყნებისათვის სასყიდლის გადახდის წესის შესახებ.
134. 1932 წლისთვის მებამბეობის ლიმიტებისა და საკონტროლო ციფრების მსვლელობისა და განხილვის წესისა და ვადების შესახებ.
135. ხეტყის წყლით ჩამოტარებისა და ხეტყის მასალის გამოზიდვის სადამკვრელო თვიურის ჩატარების შესახებ.
136. ა/კსფსრ სახელმწიფო დაწესებულებებში და სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

137. ა/კსფსრ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების თაობაზე ამხ. სოლცის კომისიისგან წარდგენილი მოხსენების გამო სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.
138. 1931 წლის მშენებლობის პროგრამის აღსრულების მსვლელობის შესახებ.
139. ცემენტისა, აგურისა და თირის წარმოების მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

125. სამეურნეო წლის დასაწყისის ოქტომბრის 1-დან იანვრის 1-თვის გადატანასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

„სამეურნეო წლის დასაწყისის ოქტომბრის 1-დან იანვრის 1-თვის გადატანასთან დაკავშირებით სსრკ-ის კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 31-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ. კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 73) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ მთავრობის ყველა დადგენილებაში, სადაც სამეურნეო (საოპერაციო) წელიწადი დაწესებულია ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე, სამეურნეო წლის დაწყებისა და დამთავრების ვადები გადატანილ იქნეს იანვრის 1-სა და დეკემბრის 31-თვის—შესაბამისობით.

2. სამეურნეო წელიწადის ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე აღრიცხვასთან დაკავშირებით გეგმებისა, ხარჯთაღრიცხვებისა, ანგარიშებისა, ბალან-

ებისა, მოხსენებებისა, განცხადებებისა და სხვ. ამისთ. შედგენისა, წარდგენისა, განხილვისა და დამტკიცებისათვის დადგენილი ვადები გადაიწევა სათანადოდ სამის თვით წინ.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ და ამიერკავკასიის ყველა უწყებასა და დაწესებულებას შეიტანონ თავიანთ დადგენილებებში, კერძოდ—მათ მიერ დამტკიცებულ წესდებებში, სათანადო ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 22.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

126. „შრომის არტელების რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 12-ის დადგენილებიდან მე-6 მუხლის ამოშლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„შრომის არტელების რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 12-ის დადგენილებიდან ამოიშალოს მე-6 მუხლი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 22.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 145 №-ში 1931 წ. მაისის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

127. სომხეთის სსრ-სა და ნახიჩავანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებისა და დაქცეული რაიონების აღდგენისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნეს 1931 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან, ღარიბ და საშუალო მეურნეობათა გარდა, აგრეთვე კოლექტიური მეურნეობანი იმ რაიონებში, რომლებიც ჩამოთვლილია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 5-ის დადგენილებაში „სომხეთის სსრ-სა და ნახიჩევანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებისა და დაქცეული რაიონების აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ („ზარია ვოსტოკა“-ს 122 №-ი 1931 წ. მაისის 6-სა).

2. განთავისუფლებულ იქნეს 1931 წელს წყლის გამოსაღებისაგან და თვითდაბეგვრის ვალდებულებათაგან ყველა კოლექტიური მეურნეობა და ღარიბი და საშუალო მეურნეობა იმავე რაიონებში.

3. მოეხსნათ კოლექტიურ მეურნეობათ და ღარიბ და საშუალო მეურნეობათ იმავე რაიონებში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, წყლის გამოსაღებისა, თვითდაბეგვრისა და კულტურული მშენებლობის ერთდროული გამოსაღების წარსული წლების ყველა ნარჩენი, რაც მათზე ირიცხება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 24.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 147 №-ში 1931 წ. მაისის 31-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

128. ა/კსფსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანური ბიუჯეტების მოწყობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1931 წლიდან მოეწყოს აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიურ ოლქებში, გარდა ამ რესპუბლიკებისა და ოლქების შედგენილობაში შემავალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების ადგილობრივი ბიუჯეტებისა, აგრეთვე რესპუბლიკანური ბიუჯეტები, რაც გაერთიანებს სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის შემოსავალ გასავალს და რაც რეგულირებულ იქნება ადგილობრივი ფინანსების დებულებით.

2. ამ ბიუჯეტებში შესატანი შემოსავალ-გასავლის ნუსხა დადასტურებულ იქნეს (იხ. დანართი).

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარს—შეიმუშაოს ორი დეკადის განმავლობაში, მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დებულება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **გ. ვეზიროვი.**

1931 წ. მაისის 26.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 26-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ--ში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანური ბიუჯეტების მოწყობის შესახებ“.

ᲜᲣᲡᲮᲐ

აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ბის რესპუბლიკანურ ბიუჯეტებში და სამხრეთ-ოსეთის და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების საოლქო ბიუჯეტებში გასატარებელი შემოსავალ-გასავლისა, რაც რეგულირდება ადგილობრივი ფინანსების დებულებით.

I. აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ბის რესპუბლიკანურ ბიუჯეტებში და სამხრეთ-ოსეთისა და მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქების საოლქო ბიუჯეტებში შეიტანება:

Ა. განსაზოგადოებული მეურნეობის შემდეგი გადასახდელი, რაც შემოვა მათ ტერიტორიაზე რესპუბლიკანური ან საოლქო მნიშვნელობის მქონე საწარმოდან და ქონებიდან:

1. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ საგეგმავი სამრეწველო საწარმოს მოგების ანარიცხების 100%-ი;
2. სხვა უწყების სამრეწველო საწარმოს მოგების ანარიცხების 100%-ი;
3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოგების ანარიცხების 100%-ი;
4. სახელმწიფო საადგილმამულო ქონების სარგებლობისათვის შემოსული საიჯარო ქირის 50%-ი;
5. თევზის სარეწაოს და მხეცთა-ხოცვის სანახების სარგებლობისათვის შემოსული საიჯარო ქირის 50%-ი;
6. სავაჭრო საწარმოს მოგების ანარიცხების 100%ი;
7. სატრანსპორტო საწარმოს მოგების ანარიცხების 100%-ი;
8. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი უწყებისა და დაწესებულების აქციების დივიდენდის 100%-ი;
9. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი უწყებისა და დაწესებულების უვარგისი და არასაჭირო ქონების გაყიდვით მიღებული თანხის 100%-ი;
10. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ორგანოს მიერ დადებული გადასახდელისა და ჯარიმის 100%-ი;
11. ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის უწყების და დაწესებულების ხარჯთაღრიცხვით მიღებული შემოსავლის 100%-ი;
12. ბრუნვის გადასახადის ანარიცხი—არსებული წესისამებრ განსაზღვრული რაოდენობით.

Ბ. არაგანსაზოგადოებული მეურნეობის შემდეგი გადასახდელი, რაც შემოვა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორიაზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის სახელმწიფო საადგილმამულო ქონების სარგებლობისათვის შემოსული საჯარო ქირის 100%-ი;

2. ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის და ოლქის მიერ გაცემული კონცესიის შემოსავლის 100%-ი;

3. ავტონომიური რესპუბლიკისა და საოლქო ორგანოების დადგენილებით კონფისკებული კაპიტალების შემოსავლისა და კონფისკებული, ბეთალმანი და უპატრონო ქონების რეალიზაციით შემოსული თანხების 100%;

4. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტზე მყოფი ორგანოს მიერ დადებული გადასახდელისა და ჯარიმის 100%-ი;

8. განსაზოგადოებული და არაგანსაზოგადოებული მეურნეობის ზემოაღნიშნულ გადასახდელთა გარდა, რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტში შეიტანება შემდეგი შემოსავალი:

1. ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის მიერ აღებული სესხი;

2. რესპუბლიკანურ და საოლქო ბიუჯეტში შეტანილი კრედიტებიდან გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი და ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის კრედიტების ანგარიშით გაწეული ხარჯების დაბრუნებით მიღებული შემოსავალი;

3. საერთო-სახელმწიფოებრივი სახსარიდან მიღებული მიზნობრივი დოტაცია;

4. რესპუბლიკანური და საოლქო მომწესრიგებელი ფონდის შემოსავალი;

II. რესპუბლიკანური და საოლქო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში შეიტანება:

1. ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის საბჭოთა საარჩევნო ხარჯები და აგრეთვე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის შესანახი ხარჯები და იმ ორგანოებისა და დაწესებულებების ხარჯები, რომელნიც განაგებენ:

ა) საადმინისტრაციო საქმეებს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტ. სამართველოს ორგანოების გარდა);

ბ) საადგილმამულო საქმეებს;

გ) ჯანმრთელობის საქმეებს;

დ) სოციალური უზრუნველყოფის საქმეებს;

ე) სასამართლო, საგამომძიებლო და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებისა და სხვა იმ ორგანოების ხარჯები, რომელნიც მოწყობილ არიან მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარდა ამა მუხლში აღნიშნული იმ ორგანოებისა, რომელნიც, ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად, ჩარიცხულ იქნებიან ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის საადმინისტრაციო-ტერიტორიალური ერთეულების ბიუჯეტებზე.

2. რესპუბლიკანური და საოლქო მნიშვნელობის მქონე სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები, სახელდობრ: მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ვაჭრობისა და კომუნალური, საბინაო, საგზაო და საკურორტო მშენებლობის დაფინანსების ხარჯები, აგრეთვე არსებული წესისამებრ რესპუბლიკანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საოლქო მნიშვნელობისად აღიარებული მეურნეობისა და სხვა ღონისძიების დაფინანსების ხარჯები.

3. აღებული სესხის დაფარვისა და პროცენტების ხარჯები.

4. რესპუბლიკანური და საოლქო მოწესრიგების ფონდიდან ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის მისაცემი დახმარება.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

129. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, სომხეთის სსრ-ისა და ნახიჩივანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენის ხელისშემწყობი კომიტეტის ძირითადი ფუნქციების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაეკისროს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ, სომხეთის სსრ-სა და ნახიჩევანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენის ხელისშემწყობ კომიტეტს შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) ხელისშემწყობი კომიტეტი ამტკიცებს სათანადო ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ყველა იმ ღონისძიების გეგმას, რაც მიმართულია მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების დახმარებისა და აღდგენისათვის;

ბ) ყველა ფულადი და მატერიალური სახსარი, რაც გადადებული, შეგროვილი და შეწირული იქნება მიწისძვრის შედეგებთან საბრძოლველად, გადაეცემა ხელისშემწყობი კომიტეტის განკარგულებაში იმისდამიუხედავად, საიდან და რა სპეციალური დანიშნულებით იქნება ეს სახსარი;

შენიშვნა. რესპუბლიკანური ხელისშემწყობი კომიტეტების აღრესით მიღებულ სახსარს უშუალოდ ხარჯავენ ეს კომიტეტები და აღნუსხავს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ხელისშემწყობი კომიტეტი;

გ) თავისი კ-მპეტენციის საგნების ფარგლებში ხელისშემწყობი კომიტეტი გასცემს დავალებებს და გამოიტანს დადგენილებებს, რაც სავალდებულოა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა სათანადო ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოსათვის.

2. მიენდოს სომხეთის სსრ-ისა და ნახიჩევანის ავტ. სსრ-ის მთავრობათ—მოაწყონ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისშემწყობი კომიტეტები, რომელთაც დააკისრონ უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა ყველა საადგენო სამუშაოსათვის—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტთან არსებული ხელისშემწყობი კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით და დირექტივების მიხედვით.

3. მიენდოს სომხეთის სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—ნახიჩევანის ავტ. სსრ ში საალმდგენო სამუშაოთა დაჩქარებით და წარმატებით ჩასატარებლად და ამ სამუშაოთათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად—მოაწყოს თავისთან მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენის ხელისშემწყობი კომიტეტი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 20.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 137 №-ში 1931 წ. მაისის 21 -ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

130. საადგილმამულო დარგში მომუშავეთა და მგეგმავთა კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აღინიშნოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უყურადღებობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილებების გამგეთა მომზადებისა და გარდამზადებისათვის თავის დროზე კურსების მოწყობის საკითხისადმი, რაც იმით გამოიხატა, რომ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არ აღმოაჩნდა სათანადოდ შემუშავებული პროგრამმა და მან საკმარისი ხელმძღვანელობა არ გაუწია რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს აღნიშნული კურსების მოწყობის საქმეში.

2. აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიღებული ღონისძიებისა, აზერბაიჯანის სსრ ისა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა არ შეასრულეს ვადაზე მათთვის დაკისრებული მოვალეობა სარაიონო მგეგმავ მომუშავეების მომზადებისა და გარდამზადებისათვის კურსების მოწყობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. აღინიშნოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. მამალაძისა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კადრების განყოფილების გამგის ამხ. ბრონიკერის საყურადღებოდ, რომ მათ არ შეასრულეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. აპრილის 21-ის დადგენილება—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილებების გამგეთა სარაიონო საბჭოთა კადრების მომზადების შესახებ.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მთავრობათ—დაავალონ სათანადო რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს—გახსნან არა უგვიანეს 1931 წ. ივნისის 1-სა კურსები მგეგმავ მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადებისათვის და საამისო პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრონ აღნიშნული სახელმწიფო საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კადრების განყოფილებას, პერსონალური პასუხიმგებლობის ამხ. მამალაძისათვის დაკისრებით, და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, პერსონალური პასუხიმგებლობის ამხ. გრიგორიანისათვის დაკისრებით:

ა) შეიმუშაონ და დაუგზავნონ ადგილებს, სამი დღის ვადაზე, სპეციალური ციკლის პროგრამები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილებების გამგეთა და სარაიონო მგეგმავ მომუშავეთა კურსებისათვის;

ბ) შეამოწმონ ადგილებზე მიწათმოქმედების სათანადო სახალხო კომისარიატებისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიების მიერ კურსებისათვის და კურსანტების სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად მიღებული ღონისძიებანი.

6. ამა დადგენილების აღსრულების თაობაზე ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება ა/წ. ივნისის 2-ს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 22.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 146 №-ში 1931 წ. მაისის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

131. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI ყრილობის დადგენილებათა განხორციელების შემოწმების შესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI ყრილობის დადგენილებების სავსებით და თავის დროზე აღსრულების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ისეთი დადგენილებებისა, რომელნიც განსაზღვრავენ მთელ ფრონტზე ძლევამოსილი სოციალისტური შეტევის გზებს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI ყრილობის დადგენილებების ადგილებზე აღსრულების შემოწმებას, რისთვისაც განსაზღვრონ აღნიშნული დადგენილებების აღსრულების შემოწმების წესი და ვადები;

ბ) დაეკალოს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ პრესას—ფართოდ გააშუქოს აღნიშნული ყრილობის დადგენილებების აღსრულების შემოწმების მსვლელობა;

გ) აღნიშნული შემოწმება ჩატარებულ იქნეს ა/წ. ივნისის 20-დე და მას უნდა მიეცეს ფართო მასსური პოლიტიკური კამპანიის ხასიათი.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—ამა დადგენილების აღსრულებისათვის მიღებულ ღონისძიებათა და აგრეთვე აღნიშნული შემოწმების მსვლელობის და შედეგების შესახებ წარუდგინონ მოხსენებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს ამა წლის ივლისის 1-სა.

III. წინადადება მიეცეს გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციას ფართოდ გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე ამიერკავკასიის საბჭოთა მე VI ყრილობის დადგენილებების ადგილებზე აღსრულების შემოწმების მსვლელობა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 22.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

132. საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატთან არსებული სატარიფო კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის თანახმად გამოცემული, ტრანსპორტის ადგილობრივი ორგანოების მიერ ტარიფების დაწესების უფლებათა დებულების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 51 №-ი, მუხ. 541) ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. აპრილის 7-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-7 № ი, მუხ. 74) ყველა მისი შემდგომი ცვლილებით და დამატებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მაისის 16.
№ 374.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 144 №-ში 1931 წ. მაისის 28-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

133. იურიუდიულ პირთა წესდებების გამოქვეყნებისათვის სასყიდლის გადახდევინების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ იურიდიული პირის დამფუძნებელნი ან ხელმძღვანელი ორგანო, რომლის წესდებაც უნდა დაამტკიცონ ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ ან ა/კსფსრ უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, მოვალენი არიან, რეგისტრაციამდე, წარადგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობაში წესდების ოფიციალურად დამოწმებული ასლი „ა/კსფსრ

მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ (მე-II განყ.) გამოსაქვეყნებლად და სასყიდელი, რასაც დაადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა.

2. უკეთუ გამოსაქვეყნებელია იურიუდიული პირის ისეთი წესდება, რაც უნდა დაამტკიცოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატმა, საუწყებო გამოცემაში გამოქვეყნების სასყიდლის რაოდენობას განსაზღვრავს სათანადო სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით; ხოლო, უკეთუ წესდება გამოსაქვეყნებელია ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საუწყებო გამოცემაში, სასყიდლის რაოდენობას განსაზღვრავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მაისის 16.

№ 375.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ყოსტოკა“-ს 152 №-ში 1931 წ. ივნისის 5-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

134. 1932 წლისთვის მებამბეობის ლიმიტებისა და საკონტროლო ციფრების მსვლელობისა და განხილვის წესის და ვადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უზრუნველჰყონ მებამბეობის 1932 წლის ლიმიტებისა და საკონტროლო ციფრების განხილვა არა უგვიანეს, ვიდრე ა/წ. მაისის 25-თვის.

2. დაევალოს ამიერკავკასის მებამბეობის კომიტეტს და აზერბაიჯანის სსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის საერაონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუდგენენ მებამბეობისა და წყლის 1932 წლის ლიმიტების განხილვას და საერაონო საკონტროლო ციფრების შედგენას ივნისის 1-დან და დადგენონ განხილვის ისეთი წესი, რაც უზრუნველჰყოფს რაიონებში საკონტროლო ციფრების შედგენის დამთავრებას ამა წლის ივნისის ხუთმეტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს—წარუდგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, არა უგვიანეს ამა წლის ივნისის 20-სა, მებამბეობის საკონტროლო ციფრები რესპუბლიკანური და რაიონული ხაზით.

4. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ მებამბეობის 1932 წლის საკონტროლო ციფრების განნილვა არა უგვიანეს, ვიდრე ა/წ. ივნისის 23-თვის.

5. დაევალოს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს—წარუდგინოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დასკვნისათვის მებამბეობის 1932 წ. საკონტროლო ციფრები არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 28-სა.

6. დაევალოს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს—წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად, არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 5-სა, მებამბეობის 1932 წ. საკონტროლო ციფრები—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნითურთ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მაისის 21.

№ 372.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 138 №-ში 1931 წ. მაისის 22-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

135. ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და ხეტყის მასალის გამოზიდვის სადამკვრელო თვიურის ჩატარების შესახებ.

აღნიშნავს-რა ტემპების ამოძრავებას როგორც საერთოდ მუშაობაში, ისე მიმდინარე წლის 1-ლი კვარტალის შეშა-ხეტყის დამზადების გადიდებული გეგმის შესრულებაში, რაც შედეგია შეშა-ხეტყის დამზადებისათვის უკვე ჩატარებული სადამკვრელო თვიურისა, აგრეთვე აღნიშნავს-რა გეგმის შესრულების თვალსაჩინო შემცირებას აპრილში,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს ხეტყის წყლით ჩამოტივტივებისა და შეშა-ხეტყის დამზადების ა/წ. გეგმისა და 1-ლი კვარტალის გეგმის შეუსრულებელი ნაწილის შესრულების უზრუნველსაყოფად — 1931 წლის მაისის 25-დან ივნისის 25-დე გამოცხადებულ იქნეს სადამკვრელო თვიური ხეტყის წყლით ჩამოტიეტივებისა და ხეტყის მასალის გამოზიდვისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მაისის 25.

№ 373.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 144 №-ში 1931 წ. მაისის 28 ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

136. ა/კსფსრ სახელმწიფო დაწესებულებებში და სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმების შესახებ.

1. დაევალოს საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ:

ა) ფედერატიული მნიშვნელობის ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მთავრობის დირექტივებისა და დადგენილებების აღსრულებისათვის სისტემატიური მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად სპეციალურად გამოყოფილ იქნეს კოლეგიის (პრეზიდიუმისა ან გამგეობის) წევრი, რომელსაც დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა მთავრობის დირექტივებისა და დადგენილებების აღსრულების თავის დროზე შემოწმებისათვის;

ბ) მთავრობის დირექტივებისა და დადგენილებების აღსრულება უზრუნველყოფილ იქნეს მით, რომ პასუხისმგებლობა სათანადო ვადაზე აღსრულებისათვის სავალდებულოდ დაეკისროს განსაზღვრულ აღმსრულებელს და აგრეთვე მით, რომ შედგენილ იქნეს აღსრულების კონკრეტული გეგმები; შემოღებულ იქნეს სასტიკი კონტროლი და დისციპლინა მთავრობის დირექტივების აღსრულებაში.

შენიშვნა. კოლეგიის წევრის გამოყოფა არ ანთავისუფლებს დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს პასუხისმგებლობისაგან მთავრობის დირექტივების სისწორით და ზედმიწევნით აღსრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს მოაწყონ თავიანთ აპარატში აღსრულების შემმოწმებელი ჯგუფი (სექტორი) ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრული შტატით. კონტროლისათვის გამოყოფილი კოლეგიის წევრი გამოიყენებს აღსრულების შემმოწმებელი ჯგუფის (სექტორის) აპარატს.

3. მუდმივი მეთვალყურეობა ა/კსფსრ ამა თუ იმ ცენტრალურ დაწესებულებასა თუ საწარმოში კონტროლის მოწყობისა და განხორციელებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

მმართველობის ტეხნიკის ინსტიტუტის ამიერკავკასიის განყოფილებას დაეკისროს სისტემატიური კონსულტაციის გაწევა აღნიშნული კონტროლის დაყენების და წინ წაწევის საქმეში.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ—აცნობონ ხუთი დღის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს იმ პირთა გვარები, რომელნიც პასუხისმგებელ იქნებიან აღსრულების კონტროლის საქმის დაყენებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მაისის 26.

№ 376.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 152 №-ში 1931 წ. ივნისის 5-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

137. ა/კსფსრ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების თაობაზე ამხ. სოლცის კომისიისაგან წარდგენილი მოხსენების გამო სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვარძიელისა და საქართველოს სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ის პროკურატურის წარმომადგენლების მოხსენება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომ-ტის 1930 წ. 10/II დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსრულების მსვლელობის თაობაზე, რაც გამოტანილია ამხ. სოლციის კომისიის მიერ წარდგენილი მოხსენების გამო ა/კსფსრ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლოს და პროკურატურის უმაღლესმა ორგანოებმა არამც თუ თავის დროზე არ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და თავიანთი საქალაქო, სარაიონო და სარაიონთაშორისო რგოლეულთა მუშაობა, როგორც ამას მოითხოვდა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის საშხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება ამხ. სოლციის კომისიის მოხსენების მიხედვით, არამედ არც-კი სცადეს პირი ექნათ საამდროო ამოცანებისა და ტემპებისაკენ; თანაც გამოიჩინეს აშკარა სიმძიმე და მოუქნელობა აღნიშნული გადაწყვეტილების რეილიზაციის საქმეში და მხოლოდ დასჯერდნენ თათბირის გამართვას და თავიანთი ქვედა რგოლეულებისათვის წერილობითი დირექტივების მიცემას; ხოლო შემდგომ არავითარი დახმარება არ გაუწიეს მათ და არ შეამოწმეს ადგილობრივ ამ დირექტივების აღსრულება; ამის შედეგია ის, რომ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მოქმედებაში არ მომხდარა გადამწყვეტი შებრუნება იმ მხრით, რომ მათ გაეძიერებინოთ სიფხიზლე თუნდაც ისეთი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში, როგორიც არის ბამბის დამზადება, ოთხფეხი საქონლის დამზადება, ფუღადი რესურსების მობილიზაცია და სხვ. ამისთ.

კურსები გარდამზადებისათვის გახსნილი არ არის; იუსტიციის მომუშავეთა კომპლექტი შეუუსებელია; პროკურატურის მომუშავეთა მობილიზაცია რაიონის ფარგლების გარეშე და ხანგრძლივი ვადის განმავლობაში წინანდელებრ გრძელდება; მუშაობა დაწინაურებულთა და სახალხო მსაჯულთა კვალიფიკაციის წარმატებისათვის სრულიად არა სწარმოებს; სასამართლოს და პროკურატურის გაძლიერება პარტიული მომუშავეებით და ალკ წარმომადგენლებით ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია.

შრომის სასამართლოების მუშაობაში არ მომხდარა გადამწყვეტი შებრუნება იმ მხრით, რომ გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა წარმოების დეზორგანიზატორთა, საქმეზე დაუდგენთა და წამგლეჯთა წინააღმდეგ.

2. აღნიშნოს, რომ პარტიისა და მთავრობის დირექტივა სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების ქვედა ქსელის დარაიონების შესახებ ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება (განსაკუთრებით საქართველოში).

დასჯის პოლიტიკის ჩატარებაში კვლავ შემჩნეულია კლასობრივი ხაზის დამახინჯების შემთხვევები (სომხეთში).

3. აღსრულების შემმოწმებელი კომისია ვალდებულჰყოფს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასამართლ-ს და პროკურატურის ორგანოებს (პერსონალურად აზერბაიჯანის სსრ-სა, საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ის უზენაესი სასამართლოებისა და პროკურატურის ხელმძღვანელთ) განხორციელონ არა უგვიანეს 1931 წ. ივნისის 15-სა ყველა ის ღონისძიება, რაც აღნიშნულია ამხ. სოლციის წინადადებაში, და აგრეთვე სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის 1931 წ. აპრილის 6-ის გადაწყვეტილებანი.

4. ეთხოვოს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს—მისცეს დირექტივები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა სარაიონო საკონტროლო კომისიას იმის შესახებ, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს გეგმიანი კონტროლი სასამართლოს და პროკურატურის მუშაობისათვის და ხელი შეეწყოს მათ—ამხ. სოლცის კომისიის მოხსენების მიხედვით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულებაში.

5. ეთხოვოს ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—მუშათა კონტროლით და სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მეთოდების ორგანიზაციით ხელი შეუწყოს იუსტიციის ორგანოების მუშაობის საჩქაროდ გარდაქმნას სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) დირექტივების საფუძველებზე.

6. მიეცდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ აღსრულება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. თებერვლის 10-ის გადაწყვეტილებისა სასამართლოს და პროკურატურის რესპუბლიკანური და სარაიონო ორგანოების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. მაისის 29.
№ 14.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

138. 1931 წლის მშენებლობის პროგრამის აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამბ. გრიგორიანის მოხსენება და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამბ. ალამიროვისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისრის მოადგილის ამბ. კურსელის ცნობა—სამშენებლო მუშაობათა მსვლელობისა და 1931 წ. მშენებლობის პროგრამის შესრულების მსვლელობის შესახები სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. მარტის 9-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 13-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის თაობაზე,—აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ, მიუხედავად განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანებისა ხუთწლედის მესამე წლის სამშენებლო პროგრამის შესრულების საქმეში, მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციები შეუწყნარებლად მოეკიდნენ აღნიშნული დირექტივების აღსრულების საკითხს. საქმისადმი ასეთი მოპყრობა ხასიათდება შემდეგით:

ა) კვლავ გრძელდება უპროექტოთ მშენებლობის პრაქტიკა (ტყვარჩელმშენებლობა, საქართველოს სამშენებლო ტრესტი, სომხეთის სამშენებლო ტრესტი, და სხვ.);

ბ) კრედიტების განასსიგნების დაყოვნება და მასთან დაკავშირებული სატიტულო სიების მეტისმეტად დაგვიანებით დადგენა (ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილება, სრულიად საკავშირო შენაერთი „ოვცევოდ“-ი, მანენბლებთან ბრძოლის საკაკიო საზოგადოება, პორტების სამმართველო, აზერბაიჯანის სსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ განაილების სახალხო კომისარიატები და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები, თირის ჯალების ქარხანა, სარეწაო კოოპ. და სხვ.);

გ) გეგმიანობის უქონლობა მშენებლობაში, სამუშაოთა წარმოება მშენებლობის მნიშვნელობის რიგის მიუხედავად და ისეთი მშენებლობა, რაც დაფინანსების გეგმაში შეტანილი არ არის (სომხეთი);

დ) სამშენებლო და მშენებელი ორგანიზაციების დაუდევარი მოპყრობა სადეფიციტო საშენი მასალების ეკონომიურად ხარჯვის თაობაზე გაცემული დირექტივისადმი (ახალმშენი, საქართველოს საბინაო კავშირი, „ზაკპიზრემმრომსტროი“ და სხვ.);

ე) სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შეუსრულებლობა უბრალო საშენი მასალის თვითდამზადების მაქსიმალურად განვითარების თაობაზე გაცემული მთავრობის დირექტივისა („ზაკპიზრემმრომსტროი“).

2. აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს აგრეთვე, რომ ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭო და რესპუბლიკანური შინამრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირები დაუდევრად მოეკიდნენ საშენი მასალების წარმოების ყოველმხრივ განვითარებისა და ახალი ქარხნების კაპიტალური მშენებლობის ვადების შემცირების უაღრესი მნიშვნელობის ამოცანებს.

გამოაშკარავებულ ნაკლთა გადაკვრით თავიდან ასაცილებლად და მე-III და IV კვარტალში კაპიტალური მშენებლობის გეგმების აღსრულების უზრუნველსაყოფად—აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა მშენებელ უწყებას—დაამთავროს ივნისის 15-დე 1931 წ. კაპიტალური მშენებლობის ყველა ობიექტის პროექტის შედგენა.

ისეთი მშენებლობის თაობაზე, რომლის პროექტიც მზად არ იქნება 1931 წ. ივნისის 15-დე, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, არა უგვიანეს 1931 წ. ივნისის 25-სა, უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება ამ მშენებლობის 1931 წ. პროგრამადან მოხსნის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკს შეაჩეროს 1931 წ. ივნისის 15-დან კაპიტალური მშენებლობის იმ ობიექტების დაფინანსება, რაც პროექტებით უზრუნველყოფილ არ იქნება.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—შეამოწმოს უწყებების მიერ მთავრობის იმ დირექტივების აღსრულება, რაც ეხება მშენებლობათა რიგობის დადგენას (სადამკვრელო მშენებლობა, 1-ლი რიგის მშენებლობა და სხვ.) და, დადგენილი რიგობის მიხედვით, მშენებლობათა მომარაგების წესის განსაზღვრას და ამ წესის აღსრულებას.

4. მიეწიშნოს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტისა, „ოვცევოდ"-ისა, მავნებლებთან ბრძოლის სააქციო საზოგადოებისა, შავი ზღვის პორტების სამართველოს და რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელთ, რომ მათ არ შეასრულეს მთავრობის დადგენილება ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიის წარდგენის შესახებ.

5. დაეევალოს მომარაგების სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „აზნეფთს", საქართველოს ნავთის ტრესტს, „კასპარ"-ს, პორტების სამმართველოს, ამიერკავკასიის კავშირგბმულობის საოლქო სამმართველოს, „ზაკგიდროელექტროსტროი"-ს და რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებსა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—დაადგან გადასახდელი იმ პირთ, რომელნიც პასუხისმგებელ არიან ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის მშენებლობის საკონუნქტურო მიმოხილვების თავის დროზე წარუდგენლობისათვის.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარს აბხ. სვანიძეს იხმაროს რეალური ღონისძიება სამშენებლო ორგანიზაციების ტრანსპორტის ფურაჟით მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

7. დაეევალოს პროკურატურას დააჩქაროს მისთვის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გადაცემული საქმეების განხილვა, რაც ეხება საშენი მასალების ეკონომიურად ხარჯვის თაობაზე გაცემული მთავრობის დირექტივის დარღვევას.

8. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად, უნდა წარუდგინოს, ორი დეკადის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება საშშენებლო კონტროლის მოწყობის შესახებ.

9. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—გამოიკვლიოს ორი დეკადის ვადაზე საშინამრეწველო კოოპერაციის მუშაობა კაპიტალური მშენებლობის სფეროში საშენი მასალების მრეწველობის ხაზით.

10. ივლისის ბოლოს კვლავ მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება—ა/კსფსრ-ში კაპიტალური მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. მაისის 29.

№ 15

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 157 №-ში 1931 წ. ივნისის 10-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახლახო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმწომებელი კომისიისა.

139. ცემენტისა, აგურისა და თირის წარმოების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ საახლხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლების ამხანაგთა აღამიროვისა და მარკმანის მოხსენება საშენი მასალების (ცემენტი, აგური, თირი) საწარმოო პროგრამის პირველი კვარტალისა და მეორე კვარტალის ორი თვის განმავლობაში აღსრულების მსვლელობის შესახებ და საშენი მასალების წარმოების გაძლიერების თაობაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაცემული დირექტივის შესრულების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც არტიკის თირისა და საშენი და ცეცხლმძლე აგურის წარმოების პროგრამა დამაკმაყოფილებლად სრულდება, ცემენტის წარმოების პროგრამის აღსრულება არადამაკმაყოფილებელად მიმდინარეობს (I კვარტალში შესრულებულია პროგრა?ის 72,5%-ი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღინიშნოს, რომ ცემენტის მრეწველობის საწარმოო პროგრამის აღსრულების ჩაშლა გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ „სოიუზსტროიმატერიალ"-ის გამგეობა საკმარისი ყურადღებით არ მოეკიდა ა/კსფსრ ცემენტის საწარმოო პროგრამის აღსრულებას და აგრეთვე იმით, რომ თავის დროზე დაწუებული არ იქნა ახალი აგრეგატების (ყიშლისა და კასპის ქარხნების) ექსპლოატაცია და რომ აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქარხანამ „კრასნი მოლოტ"-მა არ შეასრულა ხელშეკრულება თაუზის საცემენტო ქახნისათვის 3 დიზელის რემონტის შესახებ.

3. მიღებულ იქნეს საყურადღებოდ ამხ. ლეინის განცხადება, რომ გეგმით დასახული ბინათმშენებლობა კასპის ქარხანაში უკვე დამთავრებულია.

4. წინადადება მიეცეს ამხ. ლეინს („სოიუზსტროიმატერიალ"-ის სარაიონო სამმართველო) გამოსძებნოს ერთი თვის ვადაზე სახსარი, რაც ესაჭიროება დამატებითის ბინათმშენებლობას (დამთბარი დროებითი ბარაკის ტიპისა) კასპის ქარხნის მუშათა ძირითადი კადრებისათვის, და იხმაროს ღონისძიება, რათა ყიშლისა და თაუზის ქარხნების მშენებლობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 1-სა.

ორი დეკადის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, განხორციელებულ იქნეს ღონისძიებანი ქარხნებში მუშა-ძალის რაციონალურად გამოყენებისათვის.

ერთი თვის ვადაზე შემოწმებულ იქნეს კასპის ქარხანაში ნახშირის ხარჯვა და გაზუსტებულ იქნეს ამ ქარხნისთვის საჭირო ნახშირის რაოდენობა. შემოღებულ იქნეს ყველა ქარხანაში სათბობი მასალის ზედმიწევნითი აღნუსხვა.

უზრუნველყოფილ იქნეს ყიშლის ქარხნის რეკონსტრუქციის დამთავრება მიმდინარე წლის აგვისტოს 1-თვის.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს (ამხ. ბუკრეევს) შეამოწმოს ორი დეკადის ვადაზე საცემენტო ქარხნების მუდმივი მუშების და მოსამსახურეების კვებისა და სურსათით და საქონლით მომარაგების მდგომარეობა.

6. წინადადება მიეცეს კასპის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—გაანთავისუფლოს ერთი დეკადის ვადაზე ქარხნის საცხოვრებელი ფართობი იმ პირთაგან, ვისაც ქარხანასთან ურთიერთობა არა აქვს.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, პერსონალურად ამხ. მარკმანს:

ა) უზრუნველჰყოს კასპის საცემენტო ქარხანა საჭირო სათბობი მასალით, რისთვისაც მხედველობაში მიიღოს, რომ ქარხანა სათბობი მასალით მომარაგებულ უნდა იქნეს იმავე რიგზე, როგორც სამეტალურგო ქარხანები (შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. აპრილის 10-ის თარიღისა და 143 №-ის დადგენილება);

ბ) უზრუნველჰყოს საცემენტო ქარხნების ბინათმშენებლობა საჭირო რაოდენობის საშენი მასალით;

გ) დაამყაროს მუდმივი მეთვალყურეობა, რათა საცემენტო ქარხნები ასრულებდენ საწარმოო პროგრამებს და რათა თავის დროზე დამთავრებულ იქნეს

ყიშლის საცემენტო ქარხნის რეკონსტრუქცია და თაუზის ქარხნის ძალთ-სადგურის კაპიტალური რემონტი;

დ) უზრუნველჰყოს, რათა ქარხანა „კრასნი მოლოტ"-მა დაამთავროს დიზელების კაპიტალური რემონტი ივლისის 20-თვის, ხოლო მე-5 №-ის სამეტალურგო ქარხანამ დაამზადოს საცემენტო ქარხნების მიერ შეკვეთილი ფოლადის სხმულები.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. მაისის 29.
№ 16.
ტფილისი.

მთავლიტი 1022. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400.